საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/34

ქ. ბათუმი 1 მარტი, 2021 წელი

ბსუ-ს ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის ორგანიზების შესახებ

,,ბსუ-ს ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის 2250 ლარამდე შემცირების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილების თანახმად სწავლის წლიური საფასური შემცირდა და **განისაზღვრა 2250 ლარამდე ოდენობით** ბსუ-ს იმ სამაგისტრო პროგრამებზე, რომლებზეც ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ განისაზღვრა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობაზე მეტით, კერძოდ:

,,1.1. 2750 ლარით:
ა) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ,,**სამართალი**" (განისაზღვრა ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 19 ივნისის N07-01/80 გადაწყვეტილებით);
ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამები: ,,**ბიზნესის ადმინისტრირება**" და ,,**ფინანსები და საბანკო საქმე**" (განისაზღვრა ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N06 გადაწყვეტილებით);
1.2. 2500 ლარით - ტურიზმის ფაკულტეტის ,,ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (განისაზღვრა ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 11 მაისის №01-07/78 გადაწყვეტილებით)."

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის თანახმად ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურს), შესაბამისი ფაკულტეტებს და საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტს, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ერთობლივად უნდა უზრუნველეყო ბსუ-ს შესაბამის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხულ, ამ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის(16.02.2021) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მქონე პირთა (მათ შორის მობილობით ჩარიცხულთა) სიის წარდგენა ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის, არაუგვიანეს 2021 წლის 19 თებერვლისა.

ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსმა წარმოადგინა სამსახურებრივი ბარათი (2021 წლის 24 თებერვლის N158911), თანდართული მაგისტრანტების

სიებით, ფაკულტეტების მიხედვით. სიებში აღნიშნულია სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასურის ოდენობა (მონაცემები შევსებულია და შესაბამისად, სამსახურებრივი ბარათი ვიზირებულია საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტის მიერ).

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის თანახმად, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის (16.02.2021) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მქონე პირთა (ვისაც არ დაუსრულებია სწავლა ბსუ-ში) დარიცხული სწავლის საფასურის კორექტირება. სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასურის ზედმეტობის შემთხვევაში (წლიური 2250 ლარზე მეტი), იგი ჩაეთვლება სტუდენტს შემდგომი სემესტრის (ების) სწავლის საფასურში. სწავლის დასრულების/სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში ზედმეტად რიცხული სწავლის საფასური კი დაუბრუნდება სტუდენტს, მისი (ან უფლებამოსილი პირის) მიერ შესაბამისი განცხადების წარმოდგენის შემდეგ, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესის საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის თანახმად, ბსუ-ს რექტორმა უნდა გამოსცეს ბრძანება ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ბსუ-ს სტუდენტთა სიაში აღნიშნულ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმებების გაფორმების ორგანიზების შესახებ.

ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი მაგისტრანტების სიაში მითითებულ პირებთან უნდა გაფორმდეს შეთანხმებები წინამდებარე ბრძანების დანართის (ნიმუში) შესაბამისად, მათთან დადებულ ხელშეკრულებებში აღნიშნულ სწავლის საფასურის ოდენობის 2250 ლარამდე შემცირების შესახებ ცვლილების შეტანის მიზნით.

2018-2019 წლის შემოდგომის სემესტრიდან ბსუ-ში ჩარიცხულ მაგისტრანტებთან გაფორმებული ხელშეკრულების ფორმა (ნიმუში) დამტკიცებულია ,,2018-2019 სასწავლო წლიდან ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 6 სექტემბრის N01-08/113 ბრძანებით. აღნიშნული ფორმის მიხედვით მე-3 მუხლის 3.1. პუნქტში მითითებული პროგრამაზე სწავლის საფასურის შესახებ ჩანაწერი. შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს ამ პუნქტში.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე, 46-ე და 48-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე–13, 66-70-ე მუხლების,

„ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N6 გადაწყვეტილების, ,,2018-2019 სასწავლო წლიდან ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 6 სექტემბრის N01-08/113 ბრძანების, ,,ბსუ-ს ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის 2250 ლარამდე შემცირების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილების და ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათების (2021 წლის 24 თებერვლის N158911) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ზოგიერთ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (,,სამართალი, ,,ბიზნესის ადმინისტრირება“, ფინანსები და საბანკო საქმე“, ,,ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი“) ჩარიცხულ მაგისტრანტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში აღნიშნული სწავლის საფასურის ოდენობის 2250 ლარამდე შემცირების შესახებ ცვლილების შეტანის მიზნით გასაფორმებელი შეთანხმების თანდართული ფორმა (**დანართი 1**).
2. სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივ ბარათში (2021 წლის 24 თებერვლის N158911) აღნიშნულ მაგისტრანტებთან შეთანხმების გაფორმების ორგანიზება დაევალოს ფაკულტეტების დეკანების ოფისებს.
3. ფაკულტეტების დეკანების ოფისებმა სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყონ შეთანხმებების გაფორმება იმ მაგისტრანტებთან, რომლებიც ბსუ-ში ჩაირიცხნენ მობილობით/შიდა მობილობით.
4. ფაკულტეტების დეკანების ოფისებმა იურიდიულ დეპარტამენტთან და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყონ შეთანხმებების გაფორმება იმ მაგისტრანტებთან, რომელთა მიმართ დასრულდა ან მიმდინარეობს სწავლის საფასურთან დაკავშირებით სასამართლო საქმისწარმოება. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია შეთანხმება გაფორმდეს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმისაგან განსახვავებული რედაქციით, რაც უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტული მაგისტრანტისათვის დარიცხული სწავლის საფასურის, სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ან/და მის მიერ გადახდილი სწავლის საფასურის შესახებ არსებულ ინფორმაციას (სტრუქტურულმა ერთეულებმა უნდა იხელმძღვანელონ ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის

საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N6 გადაწყვეტილებით).

5. დაევალოს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ტურიზმის ფაკულტეტს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს წინამდებარე ბრძანების გამოცემიდან 5 სამუშაო დღეში წარმოადგინონ ინფორმაცია (შესაბამისი განმარტებით) იმ მაგისტრანტთა მონაცემების (სია) შესახებ, რომლებიც ჩარიცხნენ ბსუ-ში (მათ შორის მობილობით), აღნიშნულნი არიან სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივ ბარათში (2021 წლის 24 თებერვლის N158911), მაგრამ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებების გაფორმება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
7. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, შესაბამის ფაკულტეტებს (იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ტურიზმის ფაკულტეტს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურს), საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის

1 მარტის N01-02/34 ბრძანების

დანართი 1

შეთანხმება N1

(მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე)

ქ. ბათუმი ------- , ---------- 2021 წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის ---------- ---------- მიერ და მეორე მხრივ - ბსუ-ს ---------- -ფაკულტეტის ---------- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტი ---------- ---------- (შემდეგში ,,სტუდენტი''), ბსუ-ში ჩარიცხული ბსუ-ს რექტორის -------- - წლის N-------- ბრძანებით ,,ბსუ-ს ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის 2250 ლარამდე შემცირების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილების და ,,ბსუ-ს ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ორგანიზების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 1 მარტის №01-02/-------ბრძანების საფუძველზე ვთანხმდებით მხარეთა შორის ---------- წლის ---------- დადებულ N---------- ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე, კერძოდ, მე-3 მუხლის (,,სწავლის საფასური'') 3.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3.1. სტუდენტის სწავლის საფასური (ერთი სასწავლო წლისათვის) შეადგენს **2 250 ლარს.“**

2. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილება ვრცელდება სტუდენტის ბსუ-ში ჩარიცხვის დღიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაზე.
3. თუკი სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასური აღემატება წლიურ საფასურს - 2250 ლარს, იგი ჩაეთვალება სტუდენტს შემდგომი სემესტრის (ების) სწავლის საფასურში. სწავლის დასრულების/სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში ზედმეტად რიცხული სწავლის საფასური დაუბრუნდება სტუდენტს, მის (ან უფლებამოსილი პირის) მიერ

შესაბამისი განცხადების წარმოდგენის შემდეგ, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11 გადაწყვეტილებისა და ,,ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესის“ (29.09. 2015წ. N06) საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

4. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან (ბსუ-სთვის განკუთვნილი ეგზემპლარის დედანი სტუდენტის პირად საქმეში).

,,უნივერსიტეტი”	,,სტუდენტი”
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელი, გვარი _ პირადი № _ ფაქტობრ. მისამ._ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32	რეგისტრ.მისამ. ---------- ტელეფონი _ ელ. ფოსტა_ _

(რექტორის ხელმოწერა)	სტუდენტის ხელმოწერა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

შენიშვნა: წინამდებარე შეთანხმების ფორმაში აღნიშნული 3.1. პუნქტში შესატანი ცვლილება ეფუძნება ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 6 სექტემბრის N01-08/113 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ მაგისტრანტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას.